გამოუღე ის აზრები,
რაც, რომ არასწორია.

1988 წლის ივლისი,
კომინიოვი

დასკვნება

ზღვის ტალღები ქვიშის კოშკებს აშენებდა,
ამ კოშკების ლაბირინთში დავიბენი.
როცა ნაზად, მწვანე თვალებს ამშვენებდა
მომღიმარი, სახე ღია ყავისფერი.

დამიჯერე, ეს არ იყო გატაცება,
დამიჯერე, მართალს ვამბობ ღმერთი-რჯული.
ვერ დავმალე და გამოვთქვი აღტაცება,
როცა გნახე მზის სხივებით გარუჯული.

თითქოს ეხლაც ტალღებიდან იცქირები,
რა კარგია იმ წუთების გახსენება.

მოდავეთი, კომინიოვის ოპერისა და
ბალეტის ეროვნული თეატრი

Moldova, The National Opera and Ballet
Theatre Chisnau



რა ლამაზად მოგხდენოდა მზის სხივები,
რა ლამაზად მოგხდენოდა დასვენება.

1999 წლის 16 აგვისტო,
თბილისი

არ მინდოდა

არ მინდოდა, შენთან მოსვლა არ მინდოდა,
თუ მოვედი მაპატიე, ბოდიში.
სულ დაკარგე ყველაფერი რაც კი მქონდა,
გული დაჭკნა სიყვარულის ლოდინში.

დღეს დღე მიჰყვა, კვირას კვირა,
წლებს კი წლები,
სიყვარული დამეშალა ფერებად.
ჩამეკეტა მისასვლელი ყველგან გზები
და ამიტომ გულს აღმური ედება.

სადირკველში ჩაიშალა ჩემი ოდა,
სული ბორგავს გადარჩენის ლოდინში.
არ მინდოდა, შენთან მოსვლა არ მინდოდა,
თუ მოვედი მაპატიე, ბოდიში.

2002 წლის 5 ნოემბერი,
თბილისი

ოცდათხუთმეტი

დღეს შემახსენა გულმა,
ამბები ახალ-ძველი.
როგორ მოვიდა ჩუმათ,
ოცდათხუთმეტი წელი.

ვიხსენებ წარსულს – ჰოდა,
იმ დროს, სამოცდაცხრაში,
როცა ბარდნიდა, თოვდა,
დავბადებულვარ მაშინ.

თეთრი სამოსი ეცვათ
ხეებს – ეს როგორც წესი.
ღიახ, მინდოდა მეთქვა,
იყო იანვრის ექვსი.

მას შემდეგ დღეებს დღენი,
თვეებს კი წლები მიჰყვა.
ბევრჯერ დავძლიე სენი,
ბევრჯერ მიმუხთლა სიტყვამ.

იღბალს ბოლომდე ვენდე,
მაგრამ ვემსგავსე ხიზანს
და სამწუხაროდ დღემდე,
ვერ მივალწიე მიზანს.

შემოქმედს ვცემდი თაყვანს,
მთელი არსით და გონით.
გიტარის ჰანგებს ჰაჰყვა,
გაუხედნავი ღრონი.

2004 წლის იანვარი,
თბილისი

იმ დღეს

ცას ვარსკვლავთა ამქარი,
დაჰყვებოდა ხატებად.
იმ დღეს რალაც სხვაგვარი,
იყო გამონათება.

იყო რალაც ნაზი და
საიდუმლო სერები.
ღრუბლებამდე აზიდა
ცისარტყელამ ფერები.

ზეცა ორად გაიყო,
ღრომ დაიწყო ანცობა.
მეც არ ვიცი რა იყო,
იმ დღეს ჩვენი გაცნობა.

იმ დღეს რაღაც ხვთიური,
დავინახე ზმანება.
არაამქვეყნიური
კრთოდა გამოცანებად.

იმ დღეს ძალა ბუნების,
გრიგალს გადაელობა.
ქვეყნის გადაბრუნების
დავინახე მცდელობა.

არ ვიცი რა მომეღის,
ხვალ ან ზეგ რა იქნება.
აღბათ ირგვლივ ყოველი,
ზღაპრად გარდაიქმნება.

ბევრი რამის არ მჯერა,
ბევრიც ქრება უკვალოდ.
სხვა რა ვითხრა ამჯერად –
... მომეწონე უბრალოდ.

2004 წლის 5 სექტემბერი,
თბილისი

ავათა ვარ

მელანდება შენი სახე,
ბნელში ფერად მინებად.
ავათა ვარ, დღესვე მნახე,
ხვალ გვიანი იქნება.

განშორების ჟამი დგება,
ჩუმი სევდა–გოდებით.
ახლა არვინ მეკითხება,
ველარ დაგელოდები.

ნუ გადგები ახლა განზე,
დღეს მოველი შენდობას.
და გპატიობ პაემანზე,
ყველა მოუსვლელობას.

თან წამყვება შენი გული,
სითბო შენი ხელების.
ჩემს ლოგინზე დაფრქვეული,
სურნელება ცრემლების

ვეჭიდები მკვდრეთით სულებს,
სუნთქვა მეკვრის და ბოლოს –
ავათა ვარ, მინახული,
დარდი არ გამაყოლო.

Jestem daleki

Twoja twarz blisko, nade mną,
Prezede mną, zawsze i wszędzie.
Jej światło rozprasza ciemność
Dziś. Jutro za późno będzie.

Chyba się pożegnać pora,
Gorzkie będzie to rozstanie.
Nie pytaj mnie dziś o wczoraj,
To zbyt trudne jest pytanie.

Lepiej może zostać dzisiaj
Choćby po to, by wybaczyć.
Ja ci też wybaczam w myślach
Bo nie może być inaczej.

Zawsze we mnie pozostanie
Ciepło twoich rąk i serca.
Ocałi cię moja pamięć,
Zawsze będziesz w moich wierszach.

Puste wszystkie są wieczory.
Oddech to powoływany potok.
Zostań jeszcze, jestem chory,
Nie zmuszaj mnie do tęsknoty.

2005 წლის 3 იანვარი,
თბილისი

სახლი №29

ნიკო ფიროსმანიშვილს

თბილისში იყო, თბილისმა ტანჯა,
თბილისს უძღვრა ფერთა გამაში.
არ დაიშურა შრომა და გარჯა,
მაგრამ წაავო ბედთან თამაში.

ტივზე ფიალით თუ არ გინახავთ,
ყარაჩოხელის თქმული დარდები.
მისმა მუშამბამ შემოგვინახა,
ძველი თბილისის ჩანახატები.

ის კოლორიტი იყო წოდებით,
იყო ქალაქის სულის მკვებავი.
გარეუბნებში გაიგონებდით,
მოდის ნიკალა, ჩვენი ძღვებავი.

არ ღირსებია მხატვრის „მანდატი“,
ეკალბარდიან გზებზე უვლია.
ვით მისი ყოფა, მისი ნახატიც,
მზეს და სინათლეს მოკლებულია.

იგი ამბობდა: ძმებო რაც არი,
ქალაქის ცენტრში ხის სახლი დავდგათ.
სახლში მაგიდა, ზედ სამოვარი,
იქნება კარგი, ლამაზი, სადა.

იქ შევიკრიბოთ, ჩაი დავლიოთ,
ხელი ავილოთ სხვათა წყენაზე.
თუნდაც გვერდიგვერდ შევხვდეთ ალიონს
და ვისაუბროთ ხელოვნებაზე.

მაგრამ ამაოდ ილლიდა ენას,
ხმა უფერულად მიდუღუნებდა.
ქალაქის, ვითომ მაღალი ფენა,
არად ავდებდა, ფუნჯს უწუნებდა.

ხშირად ნახავდით დარში, ავდარში,
მარტოს, ნამთვრალევს, ძღვრიე თვალებში,

სამიკიტნოში, ღვინის სარდაფში,
ორთაჭალის თუ ვერის ბალებში.

მის გულში იყო მუდამ ავღარი,
სხეულს სამოსი ძლივს უფარავდა.
ისედაც სუსტი, ისეც გამხდარი,
ბოლოს სულ გახდა, დაჩანჩაკადა.

დაუძლურებულს ყველა ამბავში,
მხოლოდ სწყალობდა მშობელი მიწა
და მალაკნების ქუჩის სარდაფში,
ცივ იატაკზე სამი დღე იწვა.

ორმა მნახველმა შემთხვევით, წამში
ხელთ აიყვანეს ძლიერ მცივანი.
ეტლი მიჰქროდა „არამიანცში“,
მაგრამ ვაი, რომ იყო გვიანი.

გზა აიარეს ციცაბო, რთული,
თითქოს ქალაქმაც ფერი იცვალა.
საავადმყოფოში მიიმედ მისული,
დღენახევარში გარდაიცვალა.

ამაზრზენია ეს, რომ ასეა,
დღესაც არ ვიცი, რომელ პლატოზე,
მისი საფლავი კუკიაზეა
თუ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ქალაქს კვლავ ახსოვს კაცი ეული,
ახსოვს ქმედება მისი გონების.
ერთ სასტუმროსთან გაჩერებული,
ვარდებით სავსე ფაიტონები.

ასე დასრულდა ბედი მხატვრისა,
როცა მთელ ქალაქს გული სწყდებოდა
ის მარგარიტა, მისი აქტრისა,
სიყვარულს სულ სხვას ეფიცებოდა.

მისი სახელი მაინც შევიდა
ისტორიაში უჩუმრად, სადად.

სიცოცხლეში, რომ ბედს იწყევლიდა,
სიკვდილის შემდეგ კვლავ დაიბადა.

დიახ, ეს ხალხის სიყვარულია,
სიკვდილის შემდეგ თუ იბადები.
რა ვქნათ, ასეთი კონტრასტულია,
ჩვენი ცხოვრების ინტეგრალები.

2005 წლის ნოემბერი,
თბილისი

„კნიაზი“

მე „კნიაზი“ ვარ და ოდნავ მთვრალი,
ირგვლივ მღერიან ლამაზ არიებს.
კარგი ღვინისკენ მიმირბის თვალი,
ბერე რა მოხდა თუ კი დავლიე.

მე „კნიაზი“ ვარ და ოდნავ მთვრალი,
ფერთა გამაში კრთება თვალები.
რა ვქნა თუ მიყვარს ლამაზი ქალი
და მის არსებას ვეთაყვანები.

მე „კნიაზი“ ვარ და ოდნავ მთვრალი,
ღრო კი ნელ–ნელა გადის წუთებად.
მე არვინ მინდა მოსული ძალით,
თავისით მოვა, ჩამეხუტება.

მე „კნიაზი“ ვარ და ოდნავ მთვრალი,
გთხოვთ დაიოკოთ ყველამ ნერვები.
ღამენათევი და ცოცხალ–მკვდარი,
ალიონს ფეხზე შევეგებები.

მე „კნიაზი“ ვარ და ოდნავ მთვრალი
და მაქვს საკმაოდ მძიმე დარღები.
ამოვარდება მძვინვარე ქარი
და იქ, ღრუბლებში დავიკარგები.

მე „კნიაზი“ ვარ და ოდნავ მთვრალი...

2006 წლის 7 ივლისი, ღამის 2 საათი,
თბილისი

მერე რა მოხდა

მერე რა მოხდა თუ დავალ,
კვლავ მარტოდ-მარტო ეული.
იანვარივით სუფთა ვარ,
მარტივით გადარეული.

O not a big deal
when alone you walk on earth:
Like January pristine I feel,
And crazy like March I am.

მერე რა მოხდა თუ დღემდე,
არ გამიმართლა ცხოვრებამ.
რა მოხდა თუკი ვერ შევძლე,
სამოთხის გამოგონება.

მერე რა მოხდა თუ შენი,
აღერსი მე არ მეღირსა.
უკვე ხომ ვერას ვუშველი,
მაგრამ კვლავ მჯერა ბედისა.

მერე რა მოხდა თუ დავალ,
კვლავ მარტოდ-მარტო ეული.
იანვარივით სუფთა ვარ,
მარტივით გადარეული.

2007 წლის ოქტომბერი,
თბილისი

სამსჯავროზე საიქიოში

მე მოვკვდი გუშინ, ეშმაკს ერგო ჩემი კალამი
და ჩემი სული მტრედმა ცისკენ წაიღო წამსვე.
იქ, საიქიოს მოვანსენე ლექსად, სალამი
და იმ წუთშივე პოეტების მხარეზე დამსვეს.

ეს რა ვიხილე, ხელოვანთა კორიანტელი,
მათ რიგ-რიგობით უძღეროდა ნანას სიო და
რომელი ერთის ჩამოვთვალო გვარი, სახელი,
გალაკტიონი ჭიქას სწევდა, გვერდი სტკიოდა.

იქეთ ტერენტი მისტიროდა ტანჯულ ცხოვრებას,
აქეთ ტიციანს უყვებოდა რალაცას პაოლო.
ტატოს მერანი იჩქაროდა გამოქროლებას,
ლადო კუთხეში ლექსს ამბობდა „ლამაზო ქალო“

მე ვიცოდი, რომ ლომკაცები უნდა მენახა
და შემხვდებოდნენ დიდი გულით ვგრძნობდი
სუყველა.

იქეთ შარვაძემ დამიძახა – მამო, შენც აქ ხარ?!...
მითხრა და ქართლოსს „თამუნია“ ჩამოუძღერა.

სოსო გრიშაშვილს მოღერებით თავი ეჭირა,
ბევრი ვიცანი მის გვერდით და ბევრიც ვერ ვიცნე.
მინდოდა ერთი, ქალაქურად კარგად მეტირა,
იქ, სიცოცხლეში ზოგიერთი, რომ ვერ გავიცნე.

ირგვლივ სუფევდა ხეთაებრივი მოხვრა და მიხვრა,
თითქოს კიდევაც მიხაროდა, კიდევ ვგოდებდი.
ჭალარა კაცმა ბოლოს კრძალვით ადგა და მითხრა –
აბა დაიწყე მოყოლო რისთვის მოხვედი.

მეც სადღეგრძელო წამოვიწყე, ცოტას ვღელავდი,
დავიწყე იმით, რომ ცხოვრებამ არ გამიმართლა.
ყველას თვალები უწიოდათ თითქოს ფერადი,
ცვილის ფიგურებს, რომ ჩამოკრავთ
ქცეულებს სანთლად.

თითქოს ვიდექი სამსჯავროზე, გულიც გათავდა,
ვემსგავსე რვეულს, სუფთა რვეულს უქმად
გადაშლილს.
ამ ჩვენს შეკრებას მოშორებით ვილაც ხატავდა,
ნიკალას ჰგავდა უსათუოდ, ფიროსმანაშვილს.

ღიან, მე გეტყვით პატროსნად გავლიე დრო და
ბინძურმა ყოფამ აიღო და წამს მომიცილა.
სხვა არ გინდაო, – გამაჩერეს, გაეჩერდი, ჰოდა
ზოგში ცრემლები გადაიქცა სიმწრის სიცილადა.

მერე მომაპყრეს საიდუმლო მღუმარი მზერა,
ეჰ, არ ყოფილა ლომკაცებთან შეყრა ადვილი.
– იყავი ჩვენთან, ერთნაირი გვაქვს ბედისწერა.
მიტხრეს და იქვე მიმიჩინეს გვერდით ადვილი.

უცებ გაიხსნა ცა, ვარსკვლავნი გადაიყარა,
უცხო მნათობი გამობრწყინდა თვალთა არეში.
გვერდით გამოჩნდა სანუკვარი ჩემი გიტარა
და გადავედით უსასრულო დროის მხარეში.

მე მოგკვდი გუშინ, ეშმაკს ერგო ჩემი კალამი
და ჩემი სული მტრედმა ცისკენ წაიღო წამსვე.
იქ, საიქიოს მოვანსენე ლექსად სალაში
და იმ წუთშივე ხელოვანთა მხარეზე დამსვეს.

2008 წლის 17–24 აპრილი,
თბილისი

გიტარა აწყობილია

გათენდა უკვე სრულიად,
უკვე რაღა დროს ძილია,
სასმისი შევსებულია,
გიტარა აწყობილია.

It's dayshine broad,
For sleep - no room.
The glass is fall,
The guitar is tuned.

2008 წელი,
თბილისი

იქნებ

კარგს აღარაფერს ველი,
ვითვლი წუთებს და წამებს.
იქნებ მომკიდოთ ხელი,
იქნებ მიშველოთ რამე.

O I feel down in the dump!
And aware am I of minutes,
Somebody, have me out of is!
Somebody, help me, please!

2008 წლის თებერვალი,
თბილისი

ენაქლები უენია

თითქოს ყველგან შენ ერთს გხედავ
და დაკარგვა მაშინებს.
მიკვირს როგორ მოგძებნე და
როგორ აღმოვაჩინე.

შენში არის ყველა ფერი,
ხვთით ნაბოძი, ნაფიცვი.
ასე კარგი, მშვენიერი,
რით შეგამკო არ ვიცი.

რას გადარო, მზეს თუ მთვარეს,
ირგვლივ სხივთა ფონია.
შენი ეშხის შემხედვარე,
თავი სიზმრად მგონია.

და იწყება ტრფობის ტური,
ახდენილი ოცნება.
შენში მოსჩანს ზეციური
დროთა გასხივოსნება.

ქათქათა და თეთრგვრემანი,
ხმა ხვთიური, ზმანება.

შენი სახე, შენი ტანი,
გზატავს გამოცანებათ.

თვალეები გაქვს ღია მწვანე,
დაგკრავს ჩუმი გენია.

.....
ენძელები მოგიტანე,
ენძელები შენია.

2009 წლის 3 მარტი,
თბილისი

მიყვარხარ კალიან

ლამაზ და მშვენიერ ცხოვრებას გთავაზობ,
მე შენთვის, იცოდე ყოველთვის მცალაია.
მეტი სხვა რა გითხრა, შენ ჩემო ლამაზო,
მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ ძალიან.

მეტი სხვა რა გითხრა, რით ავხსნა ყოველი,
შენი კარგად ყოფნა, ეს ჩემი ვალია.
მეც შენგან ასევე სიყვარულს მოველი,
ამიტომ კვლავ გეტყვი, მიყვარხარ ძალიან.

მე თუ ვარ შეშლილი და კვლავ დაბნეული,
მსურს კარგად იცოდე, ეს შენი ბრალია.
დღეიდან ვიცი, რომ აღარ ვარ ეული,
ველარ ვძლებ უშენოდ, მიყვარხარ ძალიან.

ოცნების კოშკები ჩემს სულში აიგო,
მე ვისაც ვეძებდი შენში ის ქალია.
კვლავ გეტყვი ათასჯერ, რომ ყველამ გაიგოს,
მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ ძალიან!

2009 წლის 15 მარტი,
თბილისი

თბილისური

ძველ აივნებს ველარ ვხედავ,
გვიანია აწ უკვე.
გადავდივარ ქუჩაზე და
ერთი აზრი მაწუხებს.

შემომყურებს რელსი გზიდან,
როგორც ძველი ვირუსი.
საით გაქრა ტრამვაი და
თუნდაც ტროლეიბუსი.

სად წავიდა თუნდაც ძველი,
ქალაქური იერი.
დავდივარ და არას ველი,
ხან სუსტი, ხან ძლიერი.

უნდა ითქვას რაც არ ვარგა,
წვენი „ჯობნის“ საფერავს.
არ მივტირი ძველ დროს მაგრამ,
არც ახალის არ მჯერა.

თავს მახსენებს თითქოს წლები,
იქნებ დროის ნაკლია.
პროსპექტს ჩუმათ მივუყვები,
თითქოს რაღაც მაკლია.

2009 წლის მაისი,
თბილისი

25 წელი

გიტარას

მორჩეს, რამე, რომ მტკივა,
შენს გარეშე ძნელია.
უკვე ერთად მოვდივართ,
ოცდახუთი წელია.

ხარ ხვთის გამოგონება,
ჩემი აზრით გენია.

შენს გარეშე ცხოვრება,
ვერ წარმოძიდგენია.

It's much too hard
Without you to treat a sore,
Into married life we set
Twenty five years ago.

Made perfect,
Are you God's creation,
In my view -
a genius.
To live away from you.
Ideem to be incredible.

სხვა რა გითხრა ბატონო,
რასაც ვამბობ ძველია.
რაც, რომ მარჩენ, მპატრონობ,
მეთექვსმეტე წელია.

გადიდებ და გაღმერთებ,
უნდა გითხრა ამრიგათ.
რასაც ჩემთვის აკეთებ,
ძეგლი უნდა დაგიდგა.

ამ სიტყვებში ნაღდი ვარ,
ვტკბები შენი ყურებით.
ყველგან ერთად დავდივართ,
სცენაა თუ სუფრები.

ვიცი ყოფა რით ფასობს,
ღამდება თუ თენდება.
და ეს ლექსიც ძვირფასო,
შენით გამოქვეყნდება.

2009 წლის 17 ივნისი, ღამის 02:30
თბილისი

გიტარის კურსები

გიტარის კურსს ადევს „ლოგო“,
ჩემი ბრენდი ძველია.
ასე ვცხოვრობ, ვპედაგოგობ,
მეთექვსმეტე წელია.

მომავალ წლებს, კვირებს, ღღებებს,
ვგეგმავ გულით ისევე.
ხვალ დავითხოვ მოსწავლეებს
და სამი თვე ვისვენებ.

ნათქვამი მაქვს თითქოს „ჰობა“,
ხიდს ვახტები ფონებად.
ასე მიდის ჩემი ყოფა,
შემოქმედის ცხოვრება.

აღარ მკითხოთ მეტი როგორ,
ახლაც ერთგან მელიან.
ასე ვცხოვრობ, ვპედაგოგობ,
მეთექვსმეტე წელია.

2009 წლის 29 ივნისი,
თბილისი

* * *

ჩანს ცხოვრებას კენტად ვტოვებ,
არ ვიცი რა ვიღონო.
რადგან ცხადში ვერ გიპოვე,
უნდა გამოგიგონო.

To nothing similar can I compare
This way to take I snow not,
Since in real life to find I couldn't
On my fancy must I draw.

2009 წლის 15 ივლისი, ღამის 02:15,
თბილისი

პასუხი

ცხოვრებას კვლავ კენტად ვტოვებ,
ძალზედ ბევრიც ვიღონე.
მაგრამ დღემდე ვერც გიპოვე
და ვერც გამოგიგონე.

2015 წლის 24 ივლისი,
თბილისი

1969–2069

ფანტაზიებში ბევრ რამეს ვხედავ,
ბევრი აზრებიც ტრიალებს თავში –
საით და როგორ ვიქნები ნეტავ,
ორიათასის სამოცდაცხრაში.

ჩემი ცხოვრების აღსასრულს ვარჩევ,
მკითხველმა ვთხოვ, რომ სწორად გამიგოს.
ნაკლებად ვფიქრობ ცოცხალი დავრჩე,
იქნება ჩემი ძვალიც არ იყოს.

რა ეწერება საფლავის ქვაზე,
მაინტერესებს დროთა ქაოსზე.
სამოცდაცხრაში – ასი წლის თავზე,
ვინ მომაკითხავს სასაფლაოზე.

განგებას რადგან სურდა ძალიან,
დაუკითხავად რადგანაც შემქმნა,
ვფიქრობ, რომ ისიც საკითხავია,
საერთოდ მე თუ საფლავი მექნა.

ასეა, კეთილს ვერაფერს ვხედავ,
არსად არ მოსჩანს არც თეთრი რაში.
საით და როგორ ვიქნები ნეტავ,
ორიათასის სამოცდაცხრაში.

2009 წლის 29 აგვისტო,
თბილისი

მშვენიერი ქალი

პარალელების მინდა გავლება,
საოცრებაა ბუნების ძალის –
მაღალი, ქერა, ცისფერთვალება,
მშვენიერი და ლამაზი ქალი.

თითქოს აზრები მიჰქრიან ცამდე,
აღუწერელი ჩანს მართლაც ენით.
როცა სახეზე ღიმილი დასდევს
და საქმიანი იერი შვენის.

შვენის ასევე, ვიტყვი ამჯერად,
როგორც ვარდს არწევს სიო და ქარი.
თავისებური ქცევის მანერა,
სიტყვის გამოთქმა და საუბარი.

სხვა რა ვთქვა კიდევ, არ ვარ თავნება,
მწვერვალი არის მთის მიუვალი –
მაღალი, ქერა, ცისფერთვალება,
მშვენიერი და ლამაზი ქალი.

2009 წლის 2 ოქტომბერი,
თბილისი

ბალერინა

მინდა გითხრათ თუნდაც იყოს გვიან და
გავისხენო სითბოთი და ალერსით,
რომ თეატრში მუშაობდა, ბრწყინავდა,
მოცეკვავე, გოგო ულამაზესი.

რა ხანია წარსულს კრძალვით ვეხები,
სცენას ფრენდა ხან ნაზი, ხან თავნება.
ამოლტილი ტანითა და ფეხებით,
მომხიბვლელი, ქერა, ცისფერთვალება.

ქეიფებში ღრო ვატარე ჯანმრთელი,
მაგრამ იმ დღეს კვლავ ვიხსენებ გოდებით.
როცა ჩემი გავუმხილე სათქმელი,
მან კი მითხრა – რა ვქნა, მალე ვთხოვდები.

იმ წამს იყო თითქოს მეხის გავარდნა,
თეატრის წინ ძეგლს ვემსგავსე კვარცხლბეკზე.
საგულეში გული ავარდ–ჩავარდა,
ნათქვამზე და მოულოდნელ სათქმელზე.

გაქრა როგორც ერთი თოვლის ფანტელი
და არც მსურდა იმ დღეს ქვეყნად დარჩენა.
თვრამეტი თუ ოცი წლის წინანდელი,
ეს ამბავი ნეტავ რამ გამახსენა.

2009–2010 წლები,
თბილისი

ზაიფურის ბოზონა

ჩანს, ცხოვრებას კენტად ვტოვებ,
არ ვიცი რა ვიღონო.
რადგან ცხადში ვერ გიპოვე,
უნდა გამოგიგონო.

ბ.გ. 2009 წ.

აღარა მაქვს ძალა ფიქრის,
სადმე გნახო იქნება.
თუნდაც იყო კერამიკის,
ფაიფურის ქმნილება.

ვხედავ სახეს, ფეხებს, თეძოს,
მინდა რაღაც ვიღონო.
მსურს თიხისგან გამოგქერწო,
თუნდაც გამოგიგონო.

ვფიქრობდი და უცებ წვიმა
გაქრა, მზემ გამაოგნა.
ვიტრინიდან გამიღიმა,
ფაიფურის გოგონამ.

აიწია თითქოს ფარდა,
მის წინ სახტად გაკჩერდი.
ოცი წელი სახლში მყავდა
და მე ვერც კი ვამჩნევდი.

ოხ, განგებავ ეს რა იყო,
ნეტავ სიომ დაბეროს.
ნეტავ ეხლა ღმერთი ვიყო,
შენ, რომ სული შთაგებრო.

მსურს – მზისა და მთვარის დარო,
შემეწიოს ცხონება.
შენნაირთან გავატარო,
დარჩენილი ცხოვრება.

მაგრამ რა კენა, მწყდება გული,
სევლა მაწევს მაგარი.
სამწუხაროდ ფაიფურის,
უსულო ხარ საგანი.



2010 წლის 1 იანვარი,
თბილისი

ჩემი ლექსი

განმარტებებს თუკი ითხოვს,
ჩემი ლექსის რითმები –
კროსვორდით ვავსებ სტრიქონს,
მოფრენილი სიტყვებით.

When my rhymes
Require notes
Like crossword, up I till the lines -
with words -
Kindly breezed from muse.

დაიხ, ვუხმობ გრძნობებს, აზრებს,
ზოგს ვთხზავ, ზოგსაც ვიგონებ.

მე ასე ვწერ სტროფებს, ფრაზებს,
მასზე მიბმულ სტრიქონებს.

კიდევ ვიცავ ერთ წესს დღემდე,
ვხვდები ვაშა – „ურათი“ –
მთავარია ლექსს თან სდევეს,
ჩემი ფოტოსურათი.

2010 წლის 18 იანვარი,
თბილისი

სალამომშვიდობისა

საათს დავყურებ, ბედად
ნახევარია რვისა.
რა კარგია, რომ გხედავთ,
სალამომშვიდობისა.

მადლობთ, რომ გამონახეთ
ღრო – მონაკვეთი დღისა.
რა კარგია, რომ გნახეთ,
სალამომშვიდობისა.

კიდევ მრავალჯერ გეტყვით,
ვარსკვლავთცვენაა ცისა.
რა კარგია, რომ შემხვდით,
სალამომშვიდობისა.

ბოლოსდაბოლოს ჩანხართ
ველოდებოდი ვისაც.
მიხარია, რომ აქ ხართ,
სალამომშვიდობისა.



2010 წლის 18 იანვარი,
თბილისი

საქართველო-ჰაიტი

2010 წლის 12 იანვარს, 16:53 წუთზე კუნძულ
ჰაიტიზე მოხდა 7 ბალიანი მიწისძვრა (რამაც
გამოიწვია დიდი კატასტროფა).

ტელევიზორს, რომ ვუყურებ – თრთოლვით ვზივარ,
რაც ამ კუნძულს დაატეხა მიწისძვრამ.
ძალზედ ვწუხვარ, ძალზედ შემფოთებული ვარ,
მაგრამ მაინც მინდა ვითხრათ ერთი რამ.

ვერ ვისვენებ, რომ არა ვთქვა, – გასკდა გული,
როცა ვხედავ ჩემი ქვეყნის წინხედებს.
ეხლა რა დროს ჰაიტია დანგრეული,
ჩემს დანგრეულ საქართველოს მიხედეთ.

სახელმწიფო გადავარდა ლამის გზიდან,
მიზანს ცდება დაფლეთილი ჩარჩებად.
ხელში ისე შემოგვადნა, შეგვიმცირდა,
ცოტახანში ალბათ არც რა დარჩება.

ის რაც მოხდა წვეთი არის ალბათ ზღვაში,
რასაც ვხედავ ჩვენთან შექმნილ მარწუხებს.
ყველას თავის „ჰაიტი“ აქვს ცხოვრებაში,
ყველას თავის „ნანგრევები“ აწუხებს.

სხვას რა უჭირს, მაგრამ ვაი ჩვენი ბრალი,
გვადევს და კვლავ დაგვედება სანქცია.
სახეზეა დანგრეული მომავალი,
სახეზეა ქვეყნის დეგრადაცია.

კრედიტებით, რომ სქელდება მხოლოდ ჯიბე,
ასე მართლაც არაფერი გამოვა.
აქაური შიმშილი და სიღარიბე,
იქაურთან არაფერში არ მოვა.

სამწუხაროდ საიმედოს ვერას ვხედავ,
სიმართლის თქმა თითქოს გახდა გმირობა.

უკვე ყელში ამოვიდა სიყალბე და
ტყუილებით გააჟღენთილი პირობა.

ღვინოსა ცვლის არაყი და თუნდაც ვისკი,
ალარა მაქვს განწყობა და გუნება.
ყველაფერი იყიდება–ნამუსიც კი,
ამის შემდეგ რა გვემხიარულება.

კარგი არის დახმარება, გასცე ფული,
სანამ ხალხი წაულიათ ნაფოტებს.
ძალზედ ვწუხვარ, რომ დაინგრა ის კუნძული,
მაგრამ რა ვქნა, ჩემი უფრო მაშფოთებს.

2010 წლის 23 იანვარი,
თბილისი

სიზა – რეტი

სათავეში მოსჩანს ვნებად,
ბოლოსაა დიდი სტრესი.
სიგარეტთან გამკლავება,
პრობლემაა უდიდესი.

და არ უნდა დიდი ტვინი,
რომ იცოდე რა ჭირია.
მასში კუპრი, ნიკოტინი
და მხუთავი აირია.

კვამლის სუნთქვა, მერე ძილი –
ჯანმრთელობის ანემია.
შხამში ფული გადაყრილი,
დაითვალე რამდენია.

არის მხოლოდ შენი ბრალი,
თუ გაკლდება თვე და წლები.
ღმერთი არ გკლავს, შენ კი ძალით,
ნეტავ რატომ იხუთები.



NO SMOKING!

არის შხამი, ჭირი, ვნება,
რალად გინდა ახსნა მეტი.
სიტყვა თვითონ გეუბნება –
სიგარეტი, სიგა – რეტი.

2010 წლის 24 იანვარი,
თბილისი

იყო და არა იყო რა...

იყო და არა იყო რა,
იყო ცხოვრება ვითომ რა.
იყო გოგონა პატარა –
მთელი ცხოვრება მატარა.

მთელი ცხოვრება მოცა,
იმედი მაინც არ მომცა.
რა მექნა ველარ გავიგე,
ლამაზი იყო საოცრად.

და მაჟორული აკორდი,
შემომიბრუნა მინორად.
ვეძახდი სად ხარ, გამოდი,
მაგრამ კვლავ არა იყო რა.

მას მერე დავრჩი ამგვარად
და ის გოგონა პატარა.
გაფრინდა როგორც ჩიორა,
იყო და არა იყო რა...

2010 წლის 27 იანვარი,
თბილისი

ვერის ხიდიდან

სინანულისგან რა ვთქვა, რავი,
დარდებს ჩვეული.
საკუთარ თავთან კვლავ ვიყავი
დამცირებული.

უაზრობაა მიწას ღვომა,
რას წერ, მიდი და ...
მე გადავწყვიტე გადახტომა,
ვერის ხიდიდან.

გავფრინდებოდი ერთხელ თუნდაც,
იყო ბოღეები.
მონანიება ასე მსურდა,
ჩემი ცოღეების.

განაჩენისთვის უკვე ღროა,
კრთოლა სტრიქონი.
ეს იმ ხიდიდან ეხლა როა,
გალაკტიონის.

აზრებს შევძახე, ვაი ღელა,
გინდა რალაო.
აქეთ ჩემი ძმა გამახსენდა,
იქეთ „მამაო“.

რადგან მელოდა იქ ბავშვობა,
ღრო არ იცდიდა.
მე გადავწყვიტე გადახტომა,
ვერის ხიდიდან.

By Childhood was I awaited
And the minutes flew like mad.
So y mind I made up
To jumო from Vere bridge.

2010 წლის 20 თებერვალი,
თბილისი

სამოთხე და ჯოჯონეთი

რიგში ვღგევარ ისევ მარტო,
ირგვლივ ყრია ქვა და ხრეში.
ვერ გავიგე ჯერაც რატომ,
არ მიშეებენ სამოთხეში.

ნეტავ ვისი დღეობაა?..
არ გამოდის შედარება.
ჯოჯოხეთში – ღრეობაა,
სამოთხეში – ნეტარება.

თვალს ვადევნებ წუთებს, წამებს,
რომ არ ავყვე ბოროტ ენებს.
ჯოჯოხეთში – ღვინოს სვამენ,
სამოთხეში – მარწყვის წვენებს.

ეს არ არის ალბათ წინსვლა,
სიტყვებს ვამბობ თითქოს ზვნივით.
ჯოჯოხეთში მთხოვენ მისვლას,
არ მიშვებენ სამოთხეში.

არ მცილდება ისევ დარდი,
თვალწინ მიდგას ათი მცნება.
ახლაც ათი ყალთაბანდი,
სამოთხეში იპარება.

გულზე მაწევს თითქოს ლოდი,
შეზანზარდა ირგვლივ მიწა.
თურმე სიზმარს ვნახულობდი,
კიდევ კარგი გამეღვიძა.

2010 წლის 18 ივლისი, 01:15,
თბილისი

ბოლო გზა

არ მინდა, რომ ვიცინო,
მაინც სურათს მიღებენ.
ბოლო გზაზე ვიცი, რომ
ტაშით გამაცვილებენ.

გულში ვინ რას გაივლებს,
არ მაქვს მაგის დარღები.
ვარდებსა და ყვავილებს,
მიმოფანტავს ქარები.

2010 წლის 22 აგვისტო,
თბილისი.

ჩემი წილი თბილისი

ემსგავსება ჩემი ყოფა მონოლითს,
ხშირად ვფიქრობ ნეტავ რა დამრჩენია.
ნუ წამართმევთ ამ ქალაქის კოლორიტს,
ჩემი წილი თბილისი ხომ ჩემია.

ცხოვრებაში სულ ვარ გადარბენაზე,
თითქოს სადღაც მეჩქარება ძალიან.
რა ვქნა თუკი დავიბადე ვერაზე,
რა ვქნა მერე, ეგ რა ჩემი ბრალია.

ზემელზე ხომ სულ სხვა არის ივნისი,
უკვე მიჭირს ძველი სახლის მიგნებაც.
დამიბრუნეთ იერსახე თბილისის,
დამიბრუნეთ ჩემი ავლადილება.

2010 წლის 21 სექტემბერი,
თბილისი.

თავდახრით ვღებვარ

ეს არის ჩემთვის ალბათ ახი
და არც მშურს სხვისი,
რომ არ მეღირსა ჯერ ოჯახი,
ჩანს არ ვარ ღირსი.

თუ წავბოროდიკდი სადმე ოდეს,
დამწყევლა ბედმა.
რაც შემეშალა და რაც ვცოდე,
შემინლოს ღმერთმა.

მოკითხვას ვატან ცისკენ სიოს,
მზეს ვეტყვი სალამას.
რაც შემეშალა მაპატიოს,
ბუნების ძალამ.

სხვა რა ვთქვა კიდევ, გადის წლები,
ეხლა ეს მე ვარ

და შენს წინაშე მოწიწებით,
თავდახრით ვდგევარ.

2010 წლის 2 ოქტომბერი,
თბილისი.

მწვერვალები

გავიარე მძიმე გზები,
ღამე, დღე თუ ცისმარი,
რომ ღამეპყრო მწვერვალები,
მაგრამ ვერ დავიპყარი.

საუცხოო ვარდის კონას,
დავეძებდი როდიდან.
მსურდა რაღაც ახლის პოვნა,
მაგრამ არ გამოვიდა.

გიტარასთან ერთად მოველ,
შენს კარებთან ამოდ.
მხოლოდ ერთი რამე გთხოვე,
მაგრამ ისევ არაო.

გავიარე მძიმე გზები,
ღამე, დღე თუ ცისმარი,
რომ ღამეპყრო ვარსკვლავები,
მაგრამ ვერ დავიპყარი.

Wierchołki

Szedłem trudnymi drogami
W dni upałne, noce parne,
by zdobyć szczyr nad chmurami,
Lecz do niego nie dotarłem

Szedłem do ciebie z gitarą,
Do drzwi zamkniętych na głucho,

By zaśpiewać pieśni parę,
A ty znów nie chciałaś słuchać.

Najpiękniejsze róże rwałem,
Żeby ołśnić cię bukietem.
Na nic się wysiłki zdały,
Nie przyjęłaś róż, niestety.

2010 წლის 7 ოქტომბერი,
თბილისი.

არ მეშინია

კარგი იქნება თუ შემოვრჩი ყოფის ნახევარს
და არ გეგონოთ თავის მოკვლა ჩემი ჟინია.
მაგრამ იცოდეთ არ ვაპირებ უკან დახევას,
მე არც სიცოცხლის, არც სიკვდილის არ მეშინია.

2010 წლის 15 ნოემბერი,
თბილისი

პოეტის ჯოღება

მინდა, რომ გავიხარო,
ისე ვით დღეს მეამა.
კარგი პოეტი ხარო,
მითხრა კარგმა მწერალმა.

მომეჩვენა სათუთად,
დაითრგუნა დემონი.
ისე დამისაბუთა,
დამაჯერა მემგონი.

2010 წლის 9 დეკემბერი, 3 სთ.
თბილისი.

ორმოცდარი

ნეტავი როგორც მე მინდა,
ისე მორთავდნენ ფერებს.
მოდის ახალი წელი და
დაბადების დღე მერე.

აზრი მიჰყვება ნიავექარს,
როგორ გაფრინდნენ წლებიც.
რვა დღეში – ექვსში, იანვარს,
ორმოცდარის ვხდები.

ბევრი ზღაპრები ვისმინე,
ბევრიც მოუსინჯე გზები,
კვლავ ოცნებებით ვიძინებ,
კვლავ ოცნებებით ვღვები.

ზოგიერთს თავად ვეახლე,
რალაც აზრები დამჩნა.
ვეძებ ყოველთვის სიახლეს,
მაგრამ ამჯერად არ ჩანს.

აზრი მიჰყვება ნიავექარს,
როგორ გაფრინდნენ წლებიც.
რვა დღეში – ექვსში, იანვარს,
ორმოცდარის ვხდები.



2010 წლის 30 დეკემბერი, 03:25
თბილისი.

სანამ...

იქამდე არ მომხედავთ,
ასე ვფიქრობ ტიალი –
სანამ არ გადმოვხედავთ,
ჩემი მემორიალი

და არ ჩათვლით წოდებად,
ხელოვნებას, კულტურას.

სანამ არ შემოგხვდებათ,
გზაში ჩემი სკულპტურა.

დარჩენილებს მარტოკებს,
გაგესმევით ხაზები.
სანამ არ შეგატოკებთ,
ოღეს ჩემი ფრაზები.

2011 წლის იანვარი,
თბილისი.

ისევ ჰიპოკრატე

ალარ ბანობს უკვე ბანი,
ხელფასია მცირედი.
ეს უფულო ხელოვანი,
კლინიკებში მივედი.

გამოკვლევა ვთხოვე ხოდა
გამიშალეს მარაო.
დიმიტრიმაც არაო და
დავითამაც არაო.

შეიცვალა უკვე დროვო,
მზეც არ ჩანსო ცხრაფერში.
ფული არის საჭიროვო,
უკვე სუყველაფერში.

გულში დარდებს ვეღარ ვატევ,
განწყობაა შიშველი.
ისევ ჩემო ჰიპოკრატე,
ისევ შენ თუ მიშველი.

2011 წლის 6 მაისი,
თბილისი

ბონივრული დაფინანსება

ამ ლოდინში მოთმინებაც, ჯანმრთელობაც წავიდა,
მოგმართავთ და მოგიწოდებთ, გეტყვით მტრების ჯინაზე.
პანაშვიდის და ქელეხის ფინანსები არ მინდა,
გამოკვლევა, მკურნალობა, წიგნი დამიფინანსეთ.

როგორც გინდათ მოიქეცით, გინდ ისე და გინდ ასე,
მჯერა რასაც გსაყვედურობთ მართალი ვარ სავსებით.
ხელოვანთა პანაშვიდებს წამსვე, რომ აფინანსებთ,
არ ჯობია სიცოცხლეში მისცეთ ის ფინანსები.

ევროპული სტანდარტების შემოტანა თუ გვინდა,
ყურადღებას წინ რა უდგას ქალაქური გაგებით.
მოგმართავთ და პასუხს არ მცემთ, შემაქციეთ ზურგი და
ნეტავ რა დაგიშავეთ, რომ არ მელაპარაკებით?!

2011 წლის 17 მაისი,
თბილისი

პრინციპები

დამიღამდა უკვე გაზაში,
ველარ ვიცავ იმ წესებს.
დიდი ხანი ცხოვრებაში,
დავეძებდი პრინციპებს.

გვიან მივხვდი სადღაც, ბოლოს,
გავიხლართე ამბებში.
პრინციპები თურმე მხოლოდ,
არსებობდნენ ზღაპრებში.

ოცნებები დამრჩა წყებად,
ვერ გავიგე რა იყო.
გვიან მივხვდი ეს ცხოვრებაც,
ზღაპარი, რომ არ იყო.

დავედევნე ღვინის თასებს,
ღრო დავკარგე ქებული

და მას შემდეგ დავრჩი ასე,
„ცხენზე ამხედრებული“.

2011 წლის 10 ივლისი, 03:00,
თბილისი.

ცენტრი

დედაქალაქის ცენტრში დავიბადე
და იქ გავიარე პირველად.
დედაქალაქის ცენტრში გავიზარდე,
ცოდნა დავაგროვე იმხელა.

უფრო კარგი კუთხე მეტი სხვა რა გინდა,
სხვა რა ხედი გინდა მხატვარო.
იქეთ კინოს სახლი, თავზე ვარსკვლავი და
აქეთ აეროპორტის სალარო.

მელიქ აზარიანცის სახლზე ორი თაღი,
მძიმედ ამოსუნთქვა ვერელის.
გზის მეორე მხარეს სამაიას ბაღი,
იქვე აფთიაქი ზემელის.

სხვაგან ვერ ვგუობდი ამ ადგილის გარდა,
ეხლა სასაცილოც მგონია –
რარიგ შორი იყო მარჯვნივ ოპერა და
მარცხნივ თუნდაც „ფილარმონია“.

უკვე სიწყნარეა ირგვლივ თითქოს სრული,
ლარი მეჩხირება თუმანში.
ასე უგზოუკვლოდ და მიტოვებული,
ცცხოვრობ ლამაზ გარეუბანში.

2011 წლის 8 აგვისტო, 19:44,
თბილისი.

ემმაკის ღარღი

ემსგავსება ხშირად ბოდვებს
და რაღა ვთქვა თუნდაც მერე,
როცა განზრახ ნაკეთ ცოდვებს,
უმაღ ემმაკს მიაწერენ.

აღარ გასდის ტყუილს ვადა,
მესმის ახლაც, იყო წინათ –
იქ ემმაკმა მიბიძგა და
აქ ემმაკმა შემაცდინა.

აბრალებენ წარა–მარა,
უზნეობას არ აქვს ზღვარი,
თავიანთი ბრალი – არა,
სულ ემმაკის ბრალი არის.

აგვიხსენი არსი ცოდნის,
შენ უფალო ღმერთო დიდო.
ემმაკს თავის ცოდვა ჰყოფნის,
მათი ცოდვაც როგორ ზიდოს.

და რაც გადის თვე და წლები,
ვრწმუნდები და ნაღდი ხდება.
ამათ ხელში გეფიცებით,
ემმაკიც კი მეცოდება.

2011 წლის 17 ოქტომბერი,
თბილისი.

ჩემი იღვა – მტკვარზე ტივი

ვიცი არ არის ძალზედ იოლი
და არ მასვენებს კვლავაც ფიქრები.
მსურს აღვადგინო ისტორიული –
„მტკვარზე ტივი და ტივზე ტიკები“.

ტივი თუ მართლაც ნაპირს მივიდა,
გულს შეატოკებს ძველი ქარები.

ეს აღდგენაა ტრადიციის და
ჯერი ტურიზმის განვითარების.

და გაიხარებს მთელი პლეადა,
მჯერა ახდება ბევრის წადილი.
მტკვარზე გაჩნდება ინდუსტრია და
თუნდ სამუშაო მრავლად ადგილი.

ღიას, ეს არის აზრის მიგნება,
რას გამოაჩენს კიდე ვინ იცის.
მტკვრის ნაპირებიც გაიწმინდება
და განახლდება ძველი თბილისიც.

ჩანაფიქრია მართლაც ალალი
და კვლავ უნდა ვთქვა თუნდაც, იცით რა –
ამას ვამტკიცებ წლები მრავალი,
მაგრამ ჯერ არვინ არ შეისმინა.

გულში იმედის ძაფი კიდეა,
ფეხით დავყვები მტკვრისა დინებას.
მაინც მჯერა, რომ ჩემი იდეა,
ოღესლაც მაინც აღორძინდება.

2011 წლის 22 ოქტომბერი,
თბილისი.

43 ჟელო

თოვლთან ერთად გამოვიდა ოდნავ მზე და
ცხოვრება მაქვს ძირითადად ერთფერი.
დღეს ორმოცდასამი წლის ვარ როგორც მხედავთ,
ორმოცდასამ ექვს იანვარს შევცქერი.

სამწუხაროდ, მაგრამ მაინც ვსკდები გულზე,
ძირითადად უფრო ბოლო წლებია.
ადრე ვისაც ხელს ვუკრავდი სიყვარულზე,
ეხლა მსგავსნი უარს მეუბნებიან.

იქნებ ადრეც ვცდებოდი და ეხლაც ვცდები,
რა ვქნა ჯერ თუ „ფიფქია“ არ მწვევია.

ორმოცდასამ წელს მართლაც არ ვეხუმრები,
მაგრამ ხელიც მთლათ არ ჩამიქნევია.

ჩემში ისევ ქაოსია მართლაც სრული,
ნეტავ როდის დაესმევა წერტილი.
ამ წელს ვხვდები ჯანმრთელობა შერყეული,
ჩემს ოთახში მარტოდ გამოკეტილი.

საახალწლოს ჩაკვირკიტებ ტელეეთერს,
წარსულს ვზომავ მანძილებში გათვლილად.
ბევრ რამეზე ვნანობ რაც, რომ გავაკეთე,
მაგრამ უკვე გვიანია ნამდვილად.

ლიმონათი, კონიაკი, ორცხოზობილა,
აი, ჩემი საახალწლო მაგიდა.
ოლონდ ყოფა დავამთავრო მშვიდად, თბილად,
სხვა მართლაც და არაფერი არ მინდა.

2012 წლის იანვარი,
თბილისი.

* * *

მსურს ქუჩები შევადარო ერთმანეთს,
ვაღიარო, მეტი რა დამრჩენია.
ხრეშატიკთან – რუსთაველი ვერ მოვა,
მაგრამ რა ვქნა, რუსთაველი ჩემია.

2012 წლის ივლისი,
კიევი.

პიეზი

მეტროთი ვაკვით ხედებს ღნებრის პირას,
მსიამოვნებს ღნებრის სილამაზე.
კიევში ვარ უკვე სამი კვირა
და ჯერ კიდევ ვერ მოვდივარ აზრზე.



კიევი, უკრაინის მწერალთა კავშირი.
Kiev, Writer's Union of Ukraine

შენობების სიდიდე და ფერი,
ქუჩებს ავსებს, ქმნის ზეციურ ფონებს.
ქალაქია მართლაც მშვენიერი,
უდიდესი სივრცეების მქონე.

ძალზედ ცხელა, მშრალი არის ჰავა,
მომწონს ხედებს ბოლო, რომ არ უჩანს,
მე მაოცებს როცა ფეხით დავალ,
სრემატიკი და მრავალი ქუჩა.

ხანდახან კი მავიწყდება წლები,
შუადღეა, საღამო თუ დილა –
ქუჩებს შვენივს მრავლად გოგონები,
როგორებიც მომწონდა და მხიბლავს.

2012 წლის 27 ივლისი,
კიევი.

გიდროპარკიდან

ბევრი ვეცადე, ბევრი ვწერე, ბევრი ვიფიქრე
და კონტურებში ჩემი ყოფა უმაღლ დავხატე.
ვერის ხიდიდან მტკვარში ხტომა გადავიფიქრე,
გიდროპარკიდან ახლა დნეპრში უნდა გადავხტე.

თანაც გიზიდავს სილამაზე მთელი არსებით,
დნეპრის სივრცე და ცის აღმასვლა ერთი მგონია.
მტკვარში თუ მაინც გადარჩენის მქონდა შანსები,
აქ გადარჩენა უეჭველად ნოლის ტოლია.

აღარ მსურს ასეთ „მრუდე“ აზრებს მივედ–მოველო,
რადგან სიცოცხლე გაცილებით კარგი იქნება.
უფრო ჯობია დნეპრს ზემოდან, რომ გადავხედო,
ვიდრე მის ფსკერზე მომიწიოს „გასეირნება“.

2012 წლის 17 აგვისტო,
კიევი.



ვარშავა, პოლონეთის ლიტერატორთა (მწერალთა) კავშირის
სხდომათა დარბაზი.

Warsaw, Session room of litterateur's (writer's) union of Poland.

საფერავი

ვერ მოვაბი ქეიფს თავი,
ტკბილეულს ვჭამ ვიდრე.
ერთი ბოთლი საფერავი,
გაუხსნელი მიღევს.

მალე თორმეტიც გახდება,
ფიქრებშია ბინდი.
იანვარი მობრძანდება,
დეკემბერი მიდის.

ბევრ ტანჯვას და ტკივილს ვიტან,
მართლაც არის ძნელი.
ვნახოთ ახალს რას მომიტანს,
ეს ახალი წელი.

მაგრამ არ მაქვს ეხლა თავი
არაფრის, რომ ვიდრე,
ერთი ბოთლი საფერავი,
გაუხსნელი მიღევს.

2012 წლის 31 დეკემბერი, საღამო,
ვარშავა.

6 იანვარი

მორეზობა იგრძნობა ცაზე
და ფანტელებიც აქა-იქ ქრიან.
დაბადების დღე მომადგა კარზე,
დღეს ჩემი ექვსი იანვარია.

თითქოს სხვაგვარად ანათებს მზე და
ცხოვრებაც მოსჩანს არც ისე ძნელი.
ორმოცდაოთხად დამრგვალდა ვხედავ,
წლები განვლილი და ახლანდელი.

ველარ ვხალისობ სუფრებით დიდად,
ველარ ვუყურებ გარდასულ ნიღბებს.

ოთახში ვზივარ მარტო და მშვიდად
და ტელეფონზე მოლოცვებს ვიღებ.

მინდა შევიქმნა ფესვები მყარი,
რასაც უსიტყვოდ მანიშნებს წლებიც.
საინტერესო ცხოვრება არის –
ამ დღეს, ამ მხარეს პირველად ვხვდები.

2013 წლის 6 იანვარი,
ავარშავა.

პოლონელი ქალბატონები

მე ამ ქალაქის, ამ ქუჩებში სანამდეც ვივლი,
განსაკუთრებით მინდა ერთზე ხაზის გაკლება –
მანდილოსნები მრავლად ვნახე ასეთი სტილის –
სუსტი, მაღალი, თეთრი, ქერა, ცისფერთვალეა.

რომ ჩემს მიმართაც სიმპათიებს გამოხატავენ,
მსიამოვნებს და ვაღიარებ საღი გონებით.
არის ერთ–ერთი სიახლოვის მყარი სათავე,
მე მომეწონნენ პოლონელი ქალბატონები.

აღფრთოვანებით, აღმაფრენით, რომ ვთქვა სწორია,
მჯერა ზაფხულში სილამაზის ცვენას მოველი.
მიუხედავად იმისა, რომ კიდევ თოვლია,
აპრილის თვეში ზამთარია დაუცხრომელი.

პლანეტასავით ბრუნავს ჩემი აწმყო, წარსული,
კვლავ ვიმეორებ, რასაც ვამბობ საღი გონებით.
რომ ვთქვა, ამისთვის საკმარისი დროა გასული –
მე მომეწონნენ პოლონელი ქალბატონები.

2013 წლის 9 აპრილი,
ვარშავა.

მუსკომედია

ჯერ ვერაფერს შევადრი,
კვლავაც ერთადერთია.
დამესიზმრა თეატრი,
ჩემი მუსკომედია.

To nothing similar can I compare
This genre unique,
Yesterday night, a dream I had
Where I act in the musical comedy

დამემ მართლაც მაამო,
ჩამესმოდა დიქცია –
სპექტაკლები სადამოს,
დილას რეპეტიცია.

მოგონება ფერებში,
ნეტავ რას ეღარება.
ქეიფები ჩვენს წრეში,
კარგი დროის ტარება.

კვლავაც დრომ მომაგონა,
ცეკვით თხზავდა „რვიანებს“ –
ის ლამაზი გოგონა,
„თქმა“, რომ დავაგვიანე.

გაქრა უკვე ამრიგად
და დაესვა წერტილი.
ეხლა ვარშავაში ვარ,
ჩემთვის გამოკეტილი.

გარდასულ წლებს შევნატრი,
ყველაფერი ბედია.
დამესიზმრა თეატრი,
ჩემი მუსკომედია.

2013 წლის 27 მაისი, 06:25,
ვარშავა.

15 + 15 + 15

აღარ ვიცი რას ველი და ვის ველი,
ვინ მეძახის ანდა საით მივდივარ.
ვარშავაში – სამჯერ თხუთმეტი წელი
შემისრულდა, ეხლა მართლაც დიდი ვარ.

ამქვეყნიურ რეალიებს ვშორდები,
რთული არის დღეს ვთქვა ბრალი ვისია.
ასე ვფიქრობ, ეს კი ჩემი ცხოვრების,
დასასრულის ალბათ დასაწყისია.

რათქმაუნდა ასე ყოფნა ძნელია,
როცა წლების ფიქრებში ხარ გართული.
მაგრამ ერთი აუცილებელია,
გული შეგრჩეს მაინც ახალგაზრდული.

სიყვარულმა ჩაიარა, წავიდა,
ახლა უკვე ოცნებები შორს არი.
გული მტკივა ასე მარტო დავრჩი და
ვერ ვიპოვე ჩემი მანდილოსანი.

ვერ გავიგე დღემდე ხდება რისაგან,
ცხოვრებისგან ესეც ჩემი ხვედრია.
ალბათ ბევრი ნერვიულობისაგან,
ჯანმრთელობა ისევ მისახედა.

აღარ ვიცი რას ველი და ვის ველი,
ვინ მეძახის, ანდა საით მივდივარ.
ვარშავაში – სამჯერ თხუთმეტი წელი
შემისრულდა, ეხლა მართლაც დიდი ვარ.

2014 წლის 6 იანვარი,
ვარშავა.

ხილი

გამოსული ვარ გარეთ დილიდან,
ბედთან ჭიდილსაც აღარ ვაპირებ.

შლონსკო დომბროვსკის ძველი ხიდიდან,
მე გადავხედე ვისლის ნაპირებს.

დამშვიდებული არა მაქვს ძილი,
ძალიან რთულად მიდის დღეები.
თითქოს გავზომე ეხლა მანძილი
და შევამოწმე სიმაღლეები.

თითქოს ჯებირებს მიარწევს ქარი,
არ ვიცი უკვე დროა რამდენი.
წამები არის, წუთები არის,
ცის ლაჟვარდებში ჩემი გაფრენის.

გამოსული ვარ გარეთ დილიდან,
ბედთან ჭიდილსაც აღარ ვაპირებ.
შლონსკო დომბროვსკის ძველი ხიდიდან,
ხშირად ვუყურებ ვისლის ნაპირებს.

2013 წლის დეკემბერი,
ვარშავა.

ცისფერ თვალეზში

ღრუბელთა შორის ჩანს სხივი მზეთა,
აღუწერელი არსით და ენით.
ცისფერ თვალეზში სამყაროს ვხედავ,
ცისფერ თვალეზში გულია შენი.

მსურს ყველაფერი გადავდო გვერდზე,
საუკეთესოდ განვაჯერცო თემა.
ცისფერ თვალეზში ჩემს თვალეზს ვეძებ,
ჩემს სიცოცხლეს და ჩემს გულისცემას.

იმედი მრჩება მომავლის დღისა,
მათი დანახვა მიქარწყლებს დარდებს.
ცისფერ თვალეზში ტალღაა ზღვისა,
უკიდევანო ცის სილაჟვარდე.

სიმაღლეების სულ სხვა დონეა,
საოცრებათა ნახვა, სტუმრობა.
ცისფერ თვალებში სიახლოვეა
და ამავე დროს უსასრულობა.

2013 –14 წლის დეკემბერ–იანვარი,
ვარშავა.

პოლონეთს

აღარ ვნახულობ წასასვლელად სხვადასხვა რუკებს,
ვფიქრობ ვიპოვე დროებითი ადგილი წყნარი.
თითქმის წელიწადნახევარი აქ ვცხოვრობ უკვე
და შემიძლია ჩემი აზრი გამოვთქვა მყარი.

მართლაც და ისე შევეჩვიე ამ ლამაზ მხარეს
და დამიგროვდა საქებარი სიტყვის მარავი.
ხანდახან ვფიქრობ თითქოს არც კი ვარ საზღვარგარეთ,
თბილისის შემდეგ ვარშავა ჩემი ქალაქი.

მიმიღეს თბილად და მისურვეს სიუხვე დღეთა,
რალაც ახალი დაიწყო და ძველი დავხურე.
მიხარია, რომ წლებში მყოფმა ყველასთან ერთად,
მანდილოსნების ყურადღებაც დავიმსახურე.

სამადლობელი დამიგროვდა სხვადასხვა სახის,
მრავალი მრჩება მოსაგონი კარგი წუთები.
პოლონელები მართლაც არის ლამაზი ხალხი –
გარეგნულად და შინაგანად თბილი ბუნების.

თითქოს ცის ფონი კაბადონზე იყოფა ორად,
ირგვლივ გარემოს საუცხოო დაჰკრავს ტონები.
სიამოვნებით შევირთავდი პოლონელს ცოლად,
პოლონელებთან ვიცხოვრებდი სიამოვნებით.

ვემზადებოდი პოეზიის ოთხი დღისათვის,
საინტერესო იყო ჩემთვის ყველას გაცნობა.
თანადგომისთვის და ლექსების თარგმანისათვის,
ლიტერატორთა კავშირს, მწერლებს დიდი მადლობა.

ერთი რამ ძალზედ მსიამოვნებს, ჩანს ერთი–ერთში,
აღსანიშნავი არის მართლაც, თვლაში საცემი.
აღამიანებს მრავლად ნახავთ წიგნებით ხელში,
გზაში, ტრანსპორტში კითხულობენ როს გამალებით.

რალაც შენდება, ვითარდება ქვეყნის ხელები,
რწმუნდები როცა გადახედავ ქალაქს ზევიდან.
მჯერა პოლონეთს ელოდება წარმატებები,
რაშიც ნამდვილად, თუ დასჭირდა ჩემს წვლილს შევიტან.

აღარ ვნახულობ წასასვლელად სხვადასხვა რუკებს,
ვფიქრობ ვიპოვე დროებითი ლამაზი მხარე...

2014 წლის თებერვალი,
ვარშავა.

იუსტიცია

სამი საათი ვიარეთ გზაში,
თითქოს არ ჩანდა გზის დასასრული
და მომიყვანეს ამ შენობაში,
გადაღილი და გადაქანცული.

გააღეს კარი, შემოვდგი ფეხი –
მე ეს ადგილი პირველად ვნახე.
მეგონა თავზე დამეცა მეხი,
მაგრამ სულ ასეც არ იყო საქმე.

ნახვისას ცემა უმატა გულმა,
სასიამოვნო ერთი რამ იყო.
გოგონამ თავად ფოტოგენურმა,
სურათი აქეთ მე გადამიღო.

მე არ მიგრძენია იმ დროს წვალემა,
გამილამაზა ერთფერი ყოფა.
იყო ლამაზი, ცისფერთვალემა
და უხდებოდა სამხედრო ფორმა.

ასეა, ახლაც თენდება დილა,
ბევრი რამ მრჩება კვლავაც სათქმელი

ის მორიგეობს, მილიმის ხშირად,
მე კი აქა ვარ – მალე წამსვლელი.

2014 წლის 18 მარტი,
ბელასტოკი.

ჩემი საჩუქარი

იყო აღმაფრენა ვარსკვლავების დარი,
ეხლა ოცნებების თითქმის აღარ მჯერა.
მე ბევრს მივუძღვენი ჩემი საჩუქარი,
კალმით თუ გიტარით – ლექსი და სიმღერა.

იყო შეერთება რამდენიმე ხმათა,
უკვე მოგონება ფოთოლივით ჭკნება.
იყო ნახატებიც – თუმცა იშვიათად,
როგორც ზეციური ფერთა შეხამება.

ახლა არც კი მინდა გასვლა სახლის გარეთ,
ჩემი ბედი უფრო სახლის შიგნით წყდება.
ჩუმი სიმარტოვე მტანჯავს ხან მახაერბს,
უკვე გარდასულ წლებს მიაქვთ ნეტარება.

2014 წლის 15 აგვისტო, 23:37,
თბილისი.

შენი ქუჩა

ხვალ და ზეგ არ ვიცი რას მითვლის განგება,
წარსული არ ღირდა კაპიკად, აბაზად.
დღეს ლექსი დავწერე გიტარის ჰანგებად,
გიტარამ – ცხოვრება, რომ გამილამაზა.

თითქოს და იმ გრძნობას ფონი არ უჩანდა,
თითქოს გულს სდიოდა მძვინვარე ალები.
მე ეხლა არ მანსოვს არც შენი ქუჩა და
მე ეხლა არ მანსოვს არც შენი თვალები.

ასეა, ყოველთვის წლებს მიაქვს თავისი,
წარსული იშლება სხვადასხვა ფერებად.

ყოფა მაქვს ნამდვილად, რომ გაუსაძლისი,
წარსულს კი ამჯერად არც რა ეშველება.

განვაგრძობ იმ ძველი ფურცლების დახევას,
სურათებს ასევე ვხევ და წაშს ვისვენებ.
ოთხ წელში მივალწევ ცხოვრების ნახევარს
და ამ ფორიაქში თითქოსდა გიხსენებ.

თითქოს და იმ გრძნობას ფონი არ უჩანდა,
მჯერა არ მოჰყვება ამ სიტყვებს ქილიკი –
მე ეხლა არ მახსოვს არც შენი ქუჩა და
ქუჩისკენ მავალი არცერთი ბილიკი.

2015 წლის 16 მაისი, 14:19,
თბილისი.

6 იანვარი

გაკაშკაშებული, მზის სხივების დარი,
როცა კალენდარზე ჩემი რიცხვი ჩნდება.
ექვსი იანვარი, ჩემი იანვარი,
თოვლის ფანტელებში ჩემი დაბადება.

ბევრი საოცრება ხშირად ხდება ამ თვეს,
წლის პირველი თვეა, არჩევანი ფართო.
ეს დღე ჩემი არის, ვერვინ ვერ წამართმევს,
მე ამ დღესთან მარტო – წინსვლა უნდა ვხატო.

თუკი ქვეყანაზე ბევრი ვერც რა ვპოვე
და ვერ გავიარე გზები მიუვალი.
ყველგან თან დამყვება, არსად არ მატოვებს,
ჩემი ექვსი რიცხვი, ექვსი იანვარი.

მისი შემართებით ამ ცხოვრებას ვუტევე,
ხშირად ვინც მილოცავს – დავულოცავ შობას.
ექვსჯერ ჩავენხვევი, ექვსჯერ ჩავინუტებ,
ექვსჯერ გადავუხდი კვლავაც დიდ მადლობას.

ექვსჯერ დასალოცად კვლავაც ფეხზე ვდგები,
რა ვქნა თუკი დღემდე არ მელირსა ბედი.

ჯერაც მარტო, რომ ვარ მხოლოდ ამ გაგებით,
ორმოცდაშვიდია ძნელი შესახელი.

გულში გაიელვებს მზის სხივების დარი,
როცა კალენდარზე ჩემი რიცხვი ჩნდება.
ექვსი იანვარი, ჩემი იანვარი
და ამ ქვეყანაზე ჩემი დაბადება.

2016 წლის 6 იანვარი,
თბილისი.

ხუთ ათეულ წელს მივუახლოვდი.

ბუნების ძალავ, ძალავ ძლიერო,
რეალურ ყოფას თითქოს ვშორდები
და ორ–სამ წელში სამაგიეროდ,
ხუთ ათეულ წელს ვუახლოვდები.

მიჭირს განსაცდელს გული დავუდო,
თითქოს მოკლდება დროის მანძილიც.
ამით სრულდება სავარაუდოდ,
ჩემი ცხოვრების ერთი ნაწილი.

გარდასულს ველარ გავიმეორებ,
შეძახილს: ცეკვავს, უკრავს, მღერისო...
ჩემი ცხოვრების ნაწილს – მეორეს,
იქნებ საერთოდ ველარც ვეღერსო.

რასაც ეხლა ვწერ ძალზედ განვიცდი,
გვიანი არის თუმცა გოდება.
ორმოცდაათის მერე არ ვიცი,
მართლაც არ ვიცი რა მელოდება.

გარდასულ დღეებს ვიხსენებ ძნელად,
ვგრძნობ რეალობას თითქოს დავშორდი –
სამაგიეროდ და შეუძნეველად,
ხუთ ათეულ წელს მივუახლოვდი.

2016 წლის იანვარი,
თბილისი

ნახევარი საუკუნე თითქმის ყველა გზიდან

დავიბადე ილიას თაყვანს
და იმ ხელოვნებად,
ნახევარი საუკუნე,
თითქმის ყველა გზიდან
და ვიხსენებ მოდის ხეობას,
როგორც დროის ქვეყანა.
რას შევძლებ ხელოვნებას
ან სივლიტისთვის.
შევასრულე, ვეფიქრობ მსა,
ყველა ჩემი მისია
და სიყვარული შეყვანაში,
ერთად სავსაობისა.
დავიბადე ილიას თაყვანს
და იმ ხელოვნებად,
ნახევარი საუკუნე,
თითქმის ყველა გზიდან.

გიორგი გიტაველი
Gitaveli
2016 წლის 4 მაისი,
თბილისი
Tbilisi

ს ა რ ჩ ე მ ვ ი

ავტორისაგან	3
ავტორისაგან (ინგლისურად – in English)	5
ავტორისაგან (ფრანგულად – en Français)	7
ავტორისაგან (გერმანულად – auf Deutsch)	9
ავტორისაგან (იტალიურად – in Italiano)	11
ავტორისაგან (ესპანურად – en Español)	13
ავტორისაგან (უკრაინულად – по Українски)	15
ავტორისაგან (პოლონურად – po Polsku)	17
„იანვარივით სუფთა ვარ...“ (რეცენზია)	19
„იანვარივით სუფთა ვარ...“ (რეცენზია – ინგლისურად – Review in English)	23
დამშვიდება	26
თხოვნა	26
* * * (გუშინ მართლაც განუწყვეტლივ თოვდა)	26
კოდალას	27
დასვენება	27
არ მინდოდა	29
ოცდათხუთმეტი	29
იმ დღეს	30
ავათა ვარ	31
სახლი №29	33
„კნიაზი“	35
მერე რა მოხდა	36
სამსჯავროზე საიქიოში	36
გიტარა აწყობილია	38
იქნებ	39
ენძელები შენია	39
მიყვარხარ ძალიან	40
თბილისური	41
25 წელი	41
გიტარის კურსები	43
* * * (ჩანს, ცხოვრებას კენტად ვტოვებ)	43
პასუხი	44
1969–2069	44
მშვენიერი ქალი	45
ბალერინა	45
ფაიფურის გოგონა	46

ჩემი ლექსი	47
სალამომშვიდობისა	48
საქართველო-ჰაიტი	49
სიგა – რეტი	50
იყო და არა იყო რა... ..	51
ვერის ხიდიდან.....	51
სამოთხე და ჯოჯოხეთი	52
ბოლო გზა.....	53
ჩემი წილი თბილისი	54
თავდახრით ვღგეკარ.....	54
მწვერვალები	55
არ მეშინია	56
პოეტის წოდება	56
ორმოცდარი	57
სანამ... ..	57
ისევ ჰიპოკრატე.....	58
გონივრული დაფინანსება.....	59
პრინციპები.....	59
ცენტრი	60
ეშმაკის დარდი.....	61
ჩემი იდეა – მტკვარზე ტივი	61
43 წელი.....	62
* * * (მსურს ქუჩები შევადარო ერთმანეთს).....	63
კიევი	63
გიდროპარკიდან	65
საფერავი	67
6 იანვარი	67
პოლონელი ქალბატონები.....	68
მუსკომედია	69
15 + 15 + 15.....	70
ხიდი.....	70
ცისფერ თვალებში.....	71
პოლონეთს.....	72
იუსტინა.....	73
ჩემი საჩუქარი.....	74
შენი ქუჩა	74
6 იანვარი	75
ხუთ ათეულ წელს მივუახლოვდი.....	76
ნახევარი საუკუნე თითქმის უკვე გავიდა	77

დიდი მადლობა თანადგომისათვის ყველას, ვინც
მონაწილეობა მიიღო წიგნის ფორმირებაში.

Thanks a lot for support to everyone, who contributed
in the formation of this book,

გარეკანის ვერსია და ესკიზები – ბ. გიტარელი.
კომპიუტერული უზრუნველყოფა – ლ. არევაძე.

www.bacho.ge
www.bacho.com



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com;





ISBN 978-9941-22-737-5

